gwp - ის მართვის სისტემის პოლიტიკა

gwp-ის მენეჯმენტმა ყველა სახის საქმიანობისთვის, კეთილსინდისიერებისა და შესაბამისობის კულტურის გათვალისწინებით შეიმუშავა მართვის სისტემის პოლიტიკა. აღნიშნული სისტემა თანხვედრაშია gwp-ის სხვა პოლიტიკებთან და განსაზღვრავს სახელმძღვანელო პრინციპებს შემდეგი მიმართულებებით: ხარისხი, გარემოს დაცვა, ენერგიის მოხმარება, შრომის უსაფრთხოება, ინოვაციები და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა, ლაბორატორიული კვლევები. მართვის პოლიტიკა თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საქმიანობებს: წყლის სრული ციკლის მართვას, წყლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიების საქმიანობას, წყალმომარაგებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის პროექტირებასა და მშენებლობას, ასევე ჰიდრავლიკური სამუშაოების განხორციელებას. კომპანიის მიზანია დანერგოს საუკეთესო პრაქტიკა, სამუშაოების შესრულების მუდმივი გაუმჯობესების გზით.

gwp-ის ყველა თანამშრომელი, რომელიც მენეჯერულ პოზიციაზეა, ვალდებულია იცნობდეს აღნიშნულ პოლიტიკას და თავის მხრივ გააცნოს თანამშრომლებს. gwp-ის მართვის სისტემის სტრატეგიული მდგენელებია:

· სასმელი წყლისა და წყალარინების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ადამიანთა უფლებების შესახებ გაეროს რეზოლუციის აღიარება და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა.

· gwp-ის საქმიანობის მართვა ინტეგრირებული და ეფექტიანი მართვის სისტემის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია პროცესებისა და რისკების მართვაზე.

· ყველა მომხმარებლისა და დაინტერესებული მხარის კმაყოფილების უზრუნველყოფა, შესაბამისი სერვისების გაწევით და მოქმედი მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტის მიწოდებით.

· სასმელი წყლის ანალიზების შედეგების ობიექტურობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, კვლევების ერთიანი და შემოწმებადი მეთოდოლოგიების შემუშავებით.

· ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და მთლიანობის უზრუნველყოფა, ასევე მისი დაცვა ნებისმიერი სახის არაავტორიზებული წვდომისაგან.

· R+D+I-ს (Research, Development and Innovation), როგორც gwp-ის კონკურენტული სტრატეგიის ხელშეწყობა. მიღწეული შედეგებით სარგებლობა და ამ შედეგების დაცვა.

· დაბინძურების პრევენცია რისკების მართვის მიდგომებზე დაფუძნებული პროცესების, პრაქტიკის ან მასალების გამოყენებით, რომლის მიზანია გარემოსდაცვითი ქცევის, რესურსების მდგრადი მოხმარების, ბიომრავალფეროვნების მართვისა და ენერგეტიკული და კლიმატური მაჩვენებლების გაუმჯობესება.

· მომხმარებლების მიერ დადგენილი, ასევე რეგულაციებით და მართვის სისტემების სტანდარტებით გათვალისწინებული, ასევე FCC ჯგუფის წევრობით განპირობებული მოთხოვნების შესრულება და gwp-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების პირობების პატივისცემა.

· შრომის უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლებისა და მათი წარმომადგენლების ჩართულობისა და მათთან კონსულტაციების ხელშეწყობა.

· მართვის სისტემის უწყვეტი გაუმჯობესება მონაცემთა ანალიზის, საფრთხეების აღმოფხვრის და შრომის უსაფრთხოების რისკების შემცირების, კომუნიკაციების მართვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ხარისხის უზრუნველყოფის და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების, ენერგოეფექტური პროდუქტების და სერვისების შესყიდვის, მიზნებისა და ამოცანების დასახვის, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გაუმჯობესებების ქმედებების განსაზღვრის, მართვის სისტემის პერიოდული გადახედვის გზით.

· gwp-ის თანამშრომლების ცნობიერების, მოტივაციისა და კომპეტენციის ამაღლებისთვის საჭირო რესურსების, ინსტრუმენტებისა და უწყვეტი ტრენინგების უზრუნველყოფა.

· მოცემული პოლიტიკის და სხვა საჭირო დოკუმენტების gwp-ის თანამშრომლებისთვის, ასევე პარტნიორი კომპანიებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.

ირაკლი ბაბუხადია

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის გენერალური დირექტორი

თბილისი, 2023 წლის თებერვალი